F75 w 3188.



დღეს საბჭოთა საქართველო მკერდს დაიმშვენებს მეორე ლენინის ორდენით

გულითადი მაღლობა მშობლიურ პარტიასა და მთავრობას ჩვენი შრომის მაღალი შეფასებისათვის!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საბჭოთაკავშირის 47-ე წელი | № 249 (13633) | სამშაბათი, 1 ნოემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ლ. ი. ბრეჟნევი თბილისში

შემოდგომის მეწამულ ფერადებში თითქოს გამოსცვივის ბოლოლოებული დღესასწაულის ალისფერი სამოსი. მის სასიხარულო ნიშნებს კიდევ უფრო მკაფიოდ მოწმობს რესპუბლიკის დაძაბული შრომითი რიტმი, საერთო აღფრთოვანება — საქართველოს მშრომელები ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნისათვის.

ახლანდელ დღესასწაულს თავისი განუმეორებელი ნიშნები აქვს. ეს არის ოქტომბრის პირველი დღესასწაული სკკპ XXIII კონგრესის შემდეგ და ამასთან საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდაათე წლის უშუალო დასაწყისი. ქართველი ხალხი, რომელიც აბრეშუმელებს პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებს, იბრძვის ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, ისტორიული იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის, ახალ გამარჯვებებს აღწევს კომუნისტური შენებლობაში. წარმატებებისათვის, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა საქართველო დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. ეს არის მეტალურგებისა და მეჩაიეების, ქიმიკოსებისა და მეევზეების, მანქანათმშენებლებისა და მაღაროელების, ფეიქრებისა და ბაღეების მრეწველობის მუშაკების, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეების — რესპუბლიკის ყველა მშრომელის დამსახურებული ჯილდო.

თავის მიღწევებს, მთელ წარმატებებს საქართველოს მშრომელები უნდა უმადლოდნენ დიდ ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის ძმურ ბების ურღვევ მეგობრობას, რომელმაც ხორცი შეესხა ლენინურ ორგულ პოლიტიკაში, კომუნისტური პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას.

ამ შთამბეჭდავ, ღრმა შინაარსით აღსავსე დღეებში საქართველოს მთა-ბარს მოედო სასიხარულო ამბავი: საბჭოთა საქართველოს გადაეცემა უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

31 ოქტომბერს ათასობით თბილისელი გამოვიდა ქუჩებში და მოედნებზე. მათ ხელში ყვავილები უკავიათ. მზის სხივებზე ალისფერად ელავენ ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილია გულთბილი სიტყვები: „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“.

ვაგზლის ბაქანზე მოვიდნენ ამხანაგები **პ. ა. როდიონოვი, დ. გ. ტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ჭანტურიაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ე. ჩერქეზია,** მინისტრები, რესპუბლიკურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

13 საათსა და 20 წუთზე მატარებელი მოსკოვ-თბილისი ბაქანზე ჩამოდგა. ვაგონიდან ჩამოდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ი. ბრეჟნევი,** რომელიც რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადმოსაცემად ჩამოვიდა. მასთან ერთად ბრიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მჟავანაძე,** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ს. ძოწენიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. დ. ჯავახიშვილი,** რომლებიც სტუმრის სადგურ ზესტაფონში შეხვდნენ.

თბილისში ჩამოვიდა აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. გ. ეგორიჩევი.**

გაისმის მქუხარე ტაში და მხურვალე, გულითადი მისასალმებელი სიტყვები. ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** გულთბილად მიესალმა დამხვდურთ. პიონერებმა და მოსწავლეებმა ყვავილთა თაიგულები მიართვეს.

ზესტაფონიდან მთელ გზაზე, ყველა სადგურში ძვირფას სტუმარს სვდებოდა საქართველოს ათასობით მცხოვრები.

ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი,** საქართველოს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გამოდიან ვაგზლის მოედანზე. კვლავ გაისმის ქუხარე, ხანგრძლივი ტაში, მუსიკალმებელი შეძახილები. **ლ. ი. ბრეჟნევი** გულითადად უპასუხებს მეგობრულ სტუმართმოყვარეობაზე.

ღია მანქანა, რომელშიც ბრიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. პ. მჟავანაძე, გ. ს. ძოწენიძე** და **გ. დ. ჯავახიშვილი,** ქალაქში მიეართება. ჩელუსკინელთა, ვარაზისხევის, მუღლიანის, ლენინის ქუჩებზე, რუსთაველის პროსპექტზე, ლენინის მოედანზე თბილისელები მხურვალედ მიესალმებოდნენ **ლ. ი. ბრეჟნევს.** (საქდესი).

გულთბილად და სიხარულით შეხვდნენ გუშინ თბილისისა და რუსთავის მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს.

პირველ სურათზე: ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი და ბ. ს. ძოწენიძე თბილისის ვაგზლისწინა მოედანზე. მეორე სურათზე: ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. პ. მჟავანაძე და ნ. გ. ეგორიჩევი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეტალურგთა შორის; მესამე სურათზე: ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. პ. მჟავანაძე, გ. ს. ძოწენიძე, პ. ა. როდიონოვი, შ. ი. ჭანტურიაძე და გ. ი. ჩოგოვაძე თბილისის მეტროპოლიტენში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ლ. ი. ბრეჟნევი სტუმრად რუსთაველ მეტალურგებთან

31 ოქტომბერს ნაშუადღევს ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** ეწვია რუსთავს. ამასთან ერთად ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქში ჩავიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მჟავანაძე,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. დ. ჯავახიშვილი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **რ. ი. ფრუიძე,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. გ. ეგორიჩევი.**

...თბილი მზიანი დღეა. ქალაქის ქუჩებში გამოვიდნენ ათასობით მცხოვრები, ახალგაზრდობა და ვეტერანები, ისინი, ვისი ხელითაც აგებულია რესპუბლიკის ეს ახალი სამრეწველო ცენტრი. დღეს რუსთავში თითქმის ასი ათასი კაცი ცხოვრობს. აქ მოქმედებს ინდუსტრიის ისეთი გიგანტები, როგორიც არის მეტალურგიული ქარხანა და ქიმიური კომბინატი, ცემენტის, ამწეთსაშენებელი, ორი მექანიკური და სხვა ქარხნები, საშენ მასალათა, რკინაბეტონის ნაკეთობათა, ხისდამუშავებელი კომბინატი... 115 სახეობის პროდუქციას, ფოლადით დაწყებულს და პარკეტის ფილებით დამთავრებულს, უგზავნის რუსთავი მსოფლიოს 54 ქვეყანას.

ქალაქი გაიზარდა და გამშვენიერდა. მას ეკიწროვა მტკვრის მარცხენა ნაპირი და მარჯვენა ნაპირზე გადაბიჯა, სადაც ახლა ქალაქის მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ცხოვრობს.

რუსთავს 40 ძმის ქალაქს უწოდებენ. და ეს მართლაც ასეა. აქ შრომობენ 40 ეროვნების წარმომადგენლები — ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ლატვიელები, ყირგიზები, ესტონელები, ქურთები, უკრაინელები, ბელორუსები...

16 წლის მანძილზე რუსთავში 700 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი აშენდა. თვრამეტი ათასი ბავშვი სწავლობს 21 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. ასობით მუშა დადის მუშა-ახალგაზრდობის ცვლის სკოლებში. ქალაქში არის 25 საბავშვო ბაღი და ბაგა. სამი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმი, მუსიკალური სკოლები და სასწავლებლები, მეტალურგთა და ქიმიკოსთა კულტურის სასახლეები, კულტურის სახლი, კლუბები, კინოთეატრები, სტადიონი, ხელოვნური ტბა, კულტურისა და დასვენების პარკი, 200-ზე მეტი ბაღია და სასადილო...

რუსთავი — ქართველი ხალხის სიამაყე — შენდება და იზრდება. რამდენიმე კილომეტრზეა გადაჭიმული ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა. თბილისის პროსპექტის გასწვრივ თეთრად ელვარებენ კერამიკით მოპირკეთებული სახლები. რუსთაველებისათვის შენდება პირველი „ცოცამბჯენები“ — 9 და 11 სართულიანი სახლები.

მიმდინარე ხუთწლედში ამუშავდება ახალი ქარხნები — ფოლადსამსხმელო, ლიონონკონსტრუქციების სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მეორე რიგი, გაფართოვდება ქიმიური კომბინატი, მეტალურგიული ქარხანა.

ქალაქში, რომელიც ამ. ცოტა ხნის წინათ რუკაზეც კი არ იყო აღნიშნული, მძლავრად ისმის დიდ შრომათა საქმეთა მაჯისცემა. ეს მაჯისცემა განსაკუთრებით ეგრძნეს რუსთავის სტუმრებმა მეტალურგიულ ქარხანაში.

ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. პ. მჟავანაძე და სხვები იყვნენ მარტენის საამქროში. ფოლადჩამომსხმელთა სახელოვანი კოლექტივი, რომლის ანგარიშზე წლის დამდეგიდან ათასობით ტონა ზეგეგმითი ლითონია, ახლა ოქტომბრის 49-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას.

ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** ესაუბრა წარჩინებულ მეფოლადეებს სოციალისტური შრომის გმირს **ამირან ფანცულაიას, გრიგოლ ბერეკაშვილსა** და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს **გრიგოლ სებისკვერაძეს,** მებრძმედეს სოციალისტური შრომის გმირს **ვარდიშ კობერიძეს.**

შემდეგ სტუმრები გაეცნენ ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარს, რომელსაც რადიალური კრისტალიზატორი აქვს და საბჭოთა კავშირში პირველად რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში აშენდა. ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ მარტენის საამქროს უფროსი **შ. ს. ღიბრაძე,** ქარხნის დირექტორი ლენინური პრემიის ლაურეატი **ს. ა. შარაძენიძე** და სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის მოადგილე **ს. ე. ვასილენკო.**

შემდეგ **ლ. ი. ბრეჟნევმა** და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს მილსაგლინავი საამქრო. აქ მუშაობს დგანი „400“. ეს პირველი ავტომატიზებული საგლინავი დგანია ევროპაში. **ლ. ი. ბრეჟნევმა** აღნიშნა დგანის ზუსტი, რიტმული მუშაობა.

ქარხნის დათვალიერების შემდეგ **ლ. ი. ბრეჟნევი** ესაუბრა საქარხნოს დირექტორს **ს. შარაძენიძეს** და საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს **ლ. ს. ხარბედიას** ისევ საკითხებზე, როგორიც არის ქარხნის განვითარების პერსპექტივები ახალ ხუთწლედში, დაგეგმვის ახალი სისტემის შემოღება, ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა, გამოკითხა, თუ როგორია მუშათა ცხოვრების საყოფაცხოვრებო პირობები, როგორ მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა.

რუსთაველებთან გამოთხოვებისას ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა მადლობა გადაუხადა მათ გულთბილი მიღებისათვის და გადასცა მოსკოველ მშრომელთა სალამი. მან მიულოცა მეტალურგებს საქართველოსათვის ლენინის ორდენის გადაცემის დღესასწაული და დიდი ოქტომბრის 49-ე წლისთავი.

საღამოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** და მასთან ერთად ჩამოსულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. გ. ეგორიჩევმა** საქართველოს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების თანხლებით დათვალიერეს თბილისის მეტროპოლიტენი. მათ გაესინჯეს მიწისქვეშა ელექტრომაგისტრალის ტრასით, რომელმაც უკვე 18 მილიონი მგზავრი გადაიყვანა, დათვალიერეს სადგურები. ახსნა-განმარტებებს იძლეოდნენ თბილისის მეტროპოლიტენის უფროსი **ნ. დ. ბერიძე** და „თბილისგვირაბმშენის“ უფროსი **ვ. დ. გოცირიძე.**

(საქდესი).

მევენახეთა გამარჯვების პატაკი

რესპუბლიკის მევენახეებმა, რომლებიც ასრულებენ პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ჩვენი სახელოვანი მეჩაიეების დიდი წარმატების შემდეგ შესანიშნავი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს.

პირველი ნოემბრისათვის სამშობლოს მიეცა 230 ათასი ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ყურძენი, რაც ბეგმით გათვალისწინებულზე 40 ათასი ტონით მეტია.

ეს მიღწეულია თავდადებული შრომით, იმით, რომ მევენახეებმა დროულად და გულდასმით შეასრულეს ვაზის მოვლა-პატრონობის მთელი კომპლექსი, მისწრაფებით ღირსეულად აღენიშნათ ნათელი დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49 წლისთავი.

სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ბშრჯაანის, თელავის, სიღნაღის, ყვარლის, ახმეტის, სამტრედიის, წითელწყაროს, მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, კასპის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, ვანის, აბაშის, ზუგდიდის, ბორის, საჩხერისა და სხვა რაიონებმა.

უხვი მოსავლის მოყვანაში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს გურჯაანის რაიონის სოფლების ველისციხის, ვაზისუბნის, ჩუმლაყის, თელავის რაიონის სოფლების აკურის, სანიორის კოლმეურნეობებმა, სიღნაღის რაიონის ხირსის საბჭოთა მეურნეობის, საგარეჯოს რაიონის მანავის საბჭოთა მეურნეობის, გურჯაანის რაიონის მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის, თელავის რაიონის ნაფარეულისა და კისისხევის საბჭოთა მეურნეობების, ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივებმა. ამ და ბევრმა სხვა მეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდეს გეგმაზე გაცილებით მეტი მაღალხარისხოვანი ყურძენი.

მევენახეთა მიერ მიღწეულმა წარმატებამ რესპუბლიკის მეღვინეობის მრეწველობა უზრუნველყო მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინოების ნედლეულით, აგრეთვე გააუმჯობესა რესპუბლიკის ქალაქებისა და კურორტების მოსახლეობის მომარაგება სუფრის ჯიშის ყურძნით.

კარგად იმუშაეს ღვინის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც უზრუნველყვეს ყურძნის შეუფერხებელი მიღება და გადამუშავება.

სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვა გრძელდება.

(საქდესი).

მილიონთა გულისკგერა

ქნელი სათქმელია, წლის რომელი დროა ყველაზე უკეთესი საქართველოში. ყველა დრო თავისებურად ლამაზი და მომხიბვლელია ამ დალოცვილ მიწაზე. მაგრამ მგონი არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ წელს ყველა დროს შემოდგომამ აჯობა.

ლაღად, დიდებულად შემობრძანდა წლევანდელი შემოდგომა, ხვავსა და ბარაქასთან ერთად ზეიმი და სიხარული მოგვიტანა. ჯერ იყო და სექტემბერში შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი გადაეიხადეთ, ოქტომბერი დადგა და ახალი სიხარული გვეწია: ჩვენს რესპუბლიკას მეორე ლენინის ორდენს დაკიდებენ მკერდზე. რამდენიმე დღეც, და დიდი ოქტომბრის 40-ე წლისთავს ვიდღესასწაულებთ.

შეიდი, მზიანი დღე გათენდა გუშინ თბილისში. საზეიმო ელდერი დაკრავდა დედაქალაქს. მზეც და ამაყად მოგიჯერებდნენ თბილისელი მოქალაქეები ქუჩებში და ძნელი არ იყო მათ მოძრაობაში, გაღიმებულებში ამოვიკითხო სიხარული და მადლიერება, სიამაყე, შეგნება საკუთარი ღირსებისა.

კარგი ამინდი იდგა გუშინ მთელ საქართველოში და საზეიმო განწყობილება იყო ყველგან — სოფლად თუ ქალაქად, ყველა ოჯახში, თვითეული ადამიანის გულში, ვისთვისაც ძვირფასია საბჭოლოს სახელი და ღირსება.

ფიქრობდი ამ საყოველთაო სიხარულზე და გსურდა ყველგან ყოფილიყავი. შენი სანაშობლოს ყველა კუთხე-კუნჭულისთვის გადაგეცალა თვალი ამ ბედნიერ დღეს. ჯული ეწყდებოდა, რომ ალაზნის ველზე არ იყავი და ვერ ნახე როგორ ჩაიცალა და ჩაბერტყა შემოდგომამ უხვი კალთა ბედლეხა და მარნებში, ნაწნახლებსა და ქვევრებში. გული დაგწყდა, რომ მუობლიურ სოფელში ვერ ფაესწარი ორთველსა და მაკრობას.

ყველგან ვერ მიხვიდოდი, მაგრამ ოცნებით ყველგან იყავი და ოცდი რას ვგრძნობდნენ შენი მეზობლები და სახლიკაცები, შენი ნაცნობი და უცნობი თანამემამენი საქართველოსათვის მოვარობის დიდი ჯილდოს გადაცემის ამ დაუვიწყარ დღეებში.

ოცდი ეს და შეგეძლო წარმოგიდგენია რა გახარებული იყო, რა მარჯვედ დატრიალებდა კურდღელაურის საოლმეურნეო ზვრებში მოსუცი კოლეგურნე ივანე ბუხრაძე. მასაც ხომ ეკუთვნის ეს დიდი ჯილდო, მისი წვლილიც ხომ ურევია საერთო გამარჯვებაში. მერე რა, რომ ოთხმოცს გადაცილებია. როცა გული გერჩის, წლები რა სახსენებელია. მისი დაკოკრებული მარჯვენით მოგლილი და ნაფერები ეს ვაზი, კილოიანი მტევნები რომ ასხია.

ჩვენს დროში საქართველოს ბევრი უცაბოელი სტუმარი მყავს. ყველას აცვიფრებს ჩვენი მიწა-წყლის სიკეთე და სილამაზე. ერთმა უცხოელმა მეცნიერმა საქართველოს ბუნების ანთოლოგია უწოდა. ამით მას სურდა ჩვენი მიწის სიმდიდრე და მრავალფეროვნება გამოეხატა. მაგრამ მას დაავიწყდა ეთქვა, რომ მიწა მაინც მიწაა და მას სიცოცხლეს ალამაზებს ადამიანები ანიჭებენ, ადამიანები აქცევენ მიწას ქვეყნად და სამშობლოდ.

და დღეს ჩვენ ამაყად და თავმომწონედ შეგვიძლია განვუცხადოთ უცაბოსცა და შინაურსაც, მტერსაც და მოყვარესაც, რომ ქვეყანა, როგორიც ახლა გვაქვს, ჩვენთვის ღმერთებს არ უბოძებია. ჩვენი გმირი წინაპრების დაკვლას ჩრდილს არ მივაყენებთ თუ ვიტყვით, რომ არც შემკვიდრეობით მიგვიღია ასეთი, როგორიც არის. იგი ჩვენ შევქმენით, ჩვენ ავაშენეთ, ჩვენმა თაობამ აქცია იგი მანქანათმშენებლობისა და დიდი მეტალურგიის ქვეყნად, ჩაისა და ციტრუსების სამშობლოდ.

ქართველ კაცს ვენახით და ღვინით ვერ გაიკვირვებ. საქართველო ხომ ეზის უბარელესი სამშობლოა! მაგრამ ჩვენებური ვაზის და ღვინის დიდება ისეთ მწერვალზე არასოდეს არ ყოფილა, როგორზეც დღეს არის, ახლა ქართული ღვინო, შამპანური და კონიაკი ცნობილია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ქართულმა ღვინოებმა, შამპანურმა და კონიაკებმა 557 მედალი დაიმსახურეს ღვინოების საერთაშორისო კონკურსებზე. ყურძნის შარშანდელი და წლევანდელი მოსავლის ამბავი ძველი დროის ყველაზე განთქმულ მევენახეებსაც კი განაცვიფრებდა. როგორ არ განცვიფრდებოდნენ ჩვენი ძველები, რომ სცოდნოდათ: აგერ თბილისის კარიბჭესთან, ვარკეთილისა და სამგორის საბჭოთა მეურნეობის ზვრებში, სადაც წინათ ხრიოკზე ბალახიც არ იზრდებოდა, საშუალოდ ჰექტარზე 500-600 ფუთ საუკეთესო ყურძენს კრეფენ.

ამ ნახევარი საუკუნის წინათ ქართველ გლეხკაცს ჩაის ბუჩქი თვალით არტურას. ჩვენი ხალხი ამაყობს თავისი ენახა. ვინ იფიქრებდა, რომ რამდენიმეს საუკეთესო შვილებით, როგორიც არიან ოლია, მაგრამ 36 საათი, რომელიც 12 რაინდმა გავარგარებულ ღუმელში დაჭყო, ნამდვილი გმირობაა!

ეი რას წერდა გაზეთი 10 ივნისს: „აქ მარტოოდენ დროის მოგება როდი მთავარი. არც ის, რომ ქარხანამ აღარ დაკარგა ასობით ტონა ლითოფონი, ლაქ-სალბაკი, ყველაზე დიდი მოგება, ყველაზე დიდი შენაძენი — ეს გახლავთ ახალი ხასიათი ახალი ადამიანებისა, ეს გახლავთ ჩვენი მუშების ესოდენ მაღალი შეგნებულობა, მათი სულის სიდიადე“.

...„ქუთაისი. მდინარე ცხენისწყლის ალუბრნი ალმაჩნდა ბარიტის 8 ახალი ძაღლი, რომელებიც, წინასწარი მონაცემებით, დაახლოებით 100 ათას ტონა ბარიტს შეიცავს. ახალი სამადნო პროდუქცია გათვალისწინებულია ლითოფონის ძმლავრი ქარხნისათვის, რომელიც ქუთაისში შენდება“. ამ სტრიქონებით ანასტა ფ. გორკის ინიციატივით გამოცემულ წიგნში — „მსოფლიოს ერთი დღე“ — იმ დროს მშენებლობის პროცესში ყოფილ ქუთაისის ლითოფონის ქარხანა. დღეს ეს საწარმო თავისი პროფილის მეხუთეა პირველია კავშირში, ხოლო ევროპაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმოებაა.

ქუთაისელ ქიმიკოსთა პროდუქცია საბჭოთა კავშირში ეგზავნება 700-ზე მეტ მომხმარებელს, სახალხო-მეურნეობის სფეროს და სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს.

შეიძლება აქ დამესვა წერტილი, მაგრამ ჩემი ფიქრი იმ 12 გმირს დასტრიალებს. ერთი შეხედვით ხომ უბრალოდ მოგეჩვენებათ, მაგრამ ეს ნამდვილი გმირობა იყო. აქ დიდ ალიას უნდა დავესვა ხო: „სამკმე დიდი და პატარა სულ ერთია, ოღონდ კაცმა იმას მიჰმართოს, იმას ჩაჰკიდოს ხელი, რაზედაც გული მიუწევს და ნიჭი და უნარი მიუწევდეს“.

სწორედ ასეთია საქართველოს დამსახურებული, ამაგდარი ინჟინერი გიორგი ძმისაძარიშვილი თავის საქმისადმი დამოკიდებულებაში. სწორედ ამიტომ შეძლო მან, როცა ეს საჭირო იყო, წარბშეუხრელად საერთო-სახალხო საქმისათვის სასწორზე დაედო თავისი ჯანმრთელობა და იქნებ თვით სიცოცხლეც.

ო. არობელიძე.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ხედი; მარჯვნივ — ამავე ქარხნის მუშათა ჯგუფი, რომლებმაც ღუმელის შეკეთებისას გამოიჩინეს შრომითი მამაცობა (მარცხნიდან მარჯვნივ): ბარიუმის საამქროს უფროსი პ. კაკაძე, მელუმელეთა ოსტატი ი. ქობულოვი, ზეინკალთა ბრიგადირი პ. ბარამიძე, მეაპარატე დ. ჩარკვიანი, ქარხნის დირექტორი გ. ძმისაძარიშვილი, მელუმელე პ. კურპანი, შემდუღებელი ბ. ღუმელე მუშა ნ. ყვანია და სარემონტო-სამშენებლო საამქროს უფროსი ბ. ასათიანი.

ფოტო ს. კილაძისა.





თორმეტნი ცხელ ღუმელში

ეს ნამდვილი გმირობაა

ალდენჯერ მიფიქრია და ყოველთვის გამჭირვებია სწორი პასუხი გამეცა ასეთ კითხვაზე: როდის უფრო „ადვილია“ გმირობის ჩადენა, მშვიდობიან დროს თუ ომის ჭარცეცხლში; მით უმეტეს, რომ ორივე შემთხვევაში ადამიანი თავის ყოფნა-არყოფნას წუთისოფლის სასწორზე დებს.

დიახ, ძნელია-მეთქი გამბობ და ალბათ მრავალიც დამეთანხმება. ერთი კი ნათელია: ომი მრავალად შობს გმირებს, რომელთა ლეგენდარული ამბავი თაობიდან თაობას გადაეცემა. მაგრამ ასეთ დროს ადამიანი დროისა და სიტუაციის კარნახით მოქმედებს — სამშობლო გასაჭირშია, შენს სიცოცხლეს ყოველ წუთს განსაცდელი ელის, წამით დაავიწყებ და, როგორც იტყვიან, „შენსაღმი სიცოცხლეზე ერთხელ ცდება“... სულ სხვაა მშვიდობიან დროს. შენს სიცოცხლეს არავინ ემუქრება, სამშობლოც დალხენილია; საქმეს თუ უჭირს, შეგიძლია გადასდო, ამისათვის არავინ დაგსჯის. მაგრამ უბრალო ადამიანები მაინც „ახერხებენ“ საგმირო საქმეების ჩადენას, რომ ჰკითხოთ, გიპასუხებთ — არასწორს არ უფიქრია, რომ მის საქციელს ხალხი გმირობას შარქმევს! მას სურდა ასე მოქცეულიყო, მოარჩა და გათავდა!

მაშ რა ყოფილა მთავარი?

— პატრიოტიზმი, ადამიანის მრწამსი, მოქალაქეობრივი ვალის მოხდის მაღალი შეგნება, სიყვარული საქმისადმი, მეგობრისადმი, კოლექტივისადმი.

ყველაფერ ამაზე ერთმა ამბავმა ჩამაფიქრა. ჩვენი ბალოვის 10 ივნისის ნომერში დაიბეჭდა პატარა, მაგრამ საყურადღებო კორესპონდენცია — „36 საათი ცხელ ღუმელში“. აქ ეწერა: „ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ბარიუმის საამქროში მოულოდნელად მწყობრიდან გამოდგება შავი მპრეწავი ღუმელი. ვინაიდან ამ ღუმელის დანიშნულება ესმის, ეყოფა მარნად დაგვეთანხმება — მისი გარემონტება არასოდეს არ შეიძლება, არც დღისით, არც ღამით, არც კვირა-უქმე დღით. ერთი სიტყვით, იგი ქარხნის ცოცხალი გულია და მუდამ უნდა მუშაობდეს“. აქვე კორესპონდენცია გვაუწყებინებდა, რომ გვიან ღამით ღუმელის ცეცხლგამძლე ამონაგები გამოიგრა. შეწყდა ბარიტის აღდგენის, გოგირდბარიუმის გამოშვების პროცესი. აქაური საფრთხე შეიქმნა ლითოფონისა და თუთიის საამქროების, მაშასადამე მთელი ქარხნის ნორმალურ მუშაობას.

გაჭირვების დროს მთელი კოლექტივი ფეხზე დადგა. პირველები მოვიდნენ ქარხნის დირექტორი გ. ძმისაძარიშვილი, ბარიუმის საამქროს უფროსი პ. კაკაძე, ქარხნის სარემონტო-სამშენებლო საამქროს უფროსი ბ. ასათიანი, მელუმელეთა ოსტატი ი. ქობულოვი, მეაპარატე პ. კურპანი, ბ. ყვანია და სხვები. და ყველას, ვინც შინიდან მოვიდა, ზეაძლო ჩვეულებრივად ხელისსათვის გადაედო საქმე. ვინ მოსთხოვდა მათ პასუხს ამისათვის, რომ ცხელ ღუმელში არ დაეწყოთ ძმრის და დაეაბეჭდა შრომა?

მაგრამ მუშურმა სინდისმა, თავისი ქარხნის დიდმა სიყვარულმა, საერთო საქმის ინტერესებმა შთაგაწინა თვითეულს ცალკე და ყველას ერთად დაუყოვნებლივ დაეწყოთ მუშაობა.

ადამიანები, ერთი აზრით. ერთი მისწრაფებით გამსჭვალულნი, შეუდგნენ ღუმელის დაჩქარებით გაცივებასა და 70 გრადუსი ტემპერატურის ქვეშ იწყეს ღუმელის ჩამონგრეული აგურებისაგან განტვირთვისა და აღდგენის საქმე.

ფაქტი მოხდა. ამ ამბავმა დიდად დამაინტერესა. მინდოდა მენახა ეს ადამიანები, გამეგო, რამ გააბედვინა მათ შესულიყვნენ გავარვარებულ ღუმელში. ხომ შეიძლებოდა რომელიმე მათგანისათვის ამ წუთს ჯანმრთელობას ეღალატნა, ადამიანი სამუდამოდ დაუტეხულიყო?

აკი ამიტომაც მასულ კვირას ქუთაისს გავეფაზეარე. ლითოფონის ქარხანაში მივედი. დირექტორი იქ დამხვდა. ვთხოვე მოულოდ ეჩვენა ყოველივე.

— ავარია ქარხანაში დაახლოებით ღამის ორ საათზე მოხდა. შეტყობინების უმალვე ადგილზე გავიჩქარეთ. მალე სხვებიც მოვიდნენ. გამოირკვა, რომ მესამე ღუმელი დაზიანებულიყო. მისი სიგრძე 21 მეტრია. ღუმელში დამსხვრეულ ბარიტს ურევენ ქოქსს წვრილ ნაწილაკებს და 1200 გრადუს ტემპერატურაზე იღებენ გოგირდბარიუმს. ღღეში საამქრო იძლევა რამდენიმე ათეულ ტონა ხსნარს, რომლისაგან მიიღება დაახლოებით 90 ტონა ლითოფონი, მაშასადამე, ავარიის გამო, რაც უფრო მეტი დრო გაივლიდა, იმდენად გიიზრდებოდა პროდუქციის დანაკარგი. ამასთანავე ღუმელის გაცივებას 48 საათი სჭირდებოდა, ამდენივე დრო — შეკეთებას, ხოლო ღუმელის გახურებას — 8 საათი. საჭირო იყო ღუმელის დაუყოვნებლივ შეკეთება.

— რომ დამაკვირდებოდეთ? — შეეკითხენ ინჟინერი საფარი.

— თქვენ მართალი ხართ. ეგ საკითხი გულში ყველას გვაწუხებდა. მთავარი მაინც ერთი იყო: ცხელ ღუმელში მომუშავე ადამიანებს რომ ვაჯობებ ასეთ ამბავი მოსულიყო, ვინ აგებდა პასუხს? ზოგი ამ მოსაზრებას ხმამაღლაც გამოთქვამდა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე, როგორც კი ამის საშუალება იქნებოდა. დამეწყო ღუმელის შეკეთება. შეეიმოსე სველი ტანსაცმელითა. დიეიხურე ქუდი და სპეციალური მუზარადი, გავიკეთე ხელთათმანები. საჭირო იყო სპეციალური ფეხსაცმელი. მაგრამ ძებნის დრო არ იყო. ღუმელში შევედი. პირველი 5-10 წუთი ჯოჯოხეთი იყო.

ძალას სულ სხვა რამ მაძლევდა. მეამაყებოდა და გულს მიმაგრებდა ის, რომ ღუმელში უსიტყვოდ შემომყვნენ პეტრე ყაცაძე და გიორგი ასათიანი. მიტიამეტად ეჭირდა მუშობა. ფეხები კვეწოდა, მაგრამ უხმოდ ჩვენსას ეიკეთებდნ. ავარის გამოღებასს ნაღმობის ფენა ხშირად ელვარებდა.

— მოიტანთ ფიცარი, — დაიძახა ვიღაცამ. ღუმელში მომუშავეებმა შეიმა იგრძნეს. ფეხები არ ეწვოდათ, სამაგიეროდ ამოლებული ხე სუნთქვას ანებებდა ისეთად დახუთულ ღუმელში.

ყოველ 10-15 წუთში ვიცვლებოდით. ღუმელში სამი-ოთხი კაცი მუშობდა. გარეთ კი ორმოციოდე ჩვენი ამხანაგი რიტმულად გვამარაგებდა ცეცხლგამძლე აგურითა და ხსნარით. ნაცვლად ხუთი დღეღამისა, ღუმელი აღდგენილ იქნა 36 საათში. მელითოფონეებმა ღუმელში ჩააწყეს დაახლოებით 2500 ცალი ახალი აგური.

ოცდათექვსმეტი. დასათვლელად მეტად ბოლია, მაგრამ 36 საათი, რომელიც 12 რაინდმა გავარვარებულ ღუმელში დაჭყო, ნამდვილი გმირობაა!

ეი რას წერდა გაზეთი 10 ივნისს: „აქ მარტოოდენ დროის მოგება როდი მთავარი. არც ის, რომ ქარხანამ აღარ დაკარგა ასობით ტონა ლითოფონი, ლაქ-სალბაკი, ყველაზე დიდი მოგება, ყველაზე დიდი შენაძენი — ეს გახლავთ ახალი ხასიათი ახალი ადამიანებისა, ეს გახლავთ ჩვენი მუშების ესოდენ მაღალი შეგნებულობა, მათი სულის სიდიადე“.

...„ქუთაისი. მდინარე ცხენისწყლის ალუბრნი ალმაჩნდა ბარიტის 8 ახალი ძაღლი, რომელებიც, წინასწარი მონაცემებით, დაახლოებით 100 ათას ტონა ბარიტს შეიცავს. ახალი სამადნო პროდუქცია გათვალისწინებულია ლითოფონის ძმლავრი ქარხნისათვის, რომელიც ქუთაისში შენდება“. ამ სტრიქონებით ანასტა ფ. გორკის ინიციატივით გამოცემულ წიგნში — „მსოფლიოს ერთი დღე“ — იმ დროს მშენებლობის პროცესში ყოფილ ქუთაისის ლითოფონის ქარხანა. დღეს ეს საწარმო თავისი პროფილის მეხუთეა პირველია კავშირში, ხოლო ევროპაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმოებაა.

ქუთაისელ ქიმიკოსთა პროდუქცია საბჭოთა კავშირში ეგზავნება 700-ზე მეტ მომხმარებელს, სახალხო-მეურნეობასა და სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს.

შეიძლება აქ დამესვა წერტილი, მაგრამ ჩემი ფიქრი იმ 12 გმირს დასტრიალებს. ერთი შეხედვით ხომ უბრალოდ მოგეჩვენებათ, მაგრამ ეს ნამდვილი გმირობა იყო. აქ დიდ ალიას უნდა დავესვა ხო: „სამკმე დიდი და პატარა სულ ერთია, ოღონდ კაცმა იმას მიჰმართოს, იმას ჩაჰკიდოს ხელი, რაზედაც გული მიუწევს და ნიჭი და უნარი მიეწევდეს“.

სწორედ ასეთია საქართველოს დამსახურებული, ამაგდარი ინჟინერი გიორგი ძმისაძარიშვილი თავის საქმისადმი დამოკიდებულებაში. სწორედ ამიტომ შეძლო მან, როცა ეს საჭირო იყო, წარბშეუხრელად საერთო-სახალხო საქმისათვის სასწორზე დაედო თავისი ჯანმრთელობა და იქნებ თვით სიცოცხლეც.

ო. არობელიძე.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ხედი; მარჯვნივ — ამავე ქარხნის მუშათა ჯგუფი, რომლებმაც ღუმელის შეკეთებისას გამოიჩინეს შრომითი მამაცობა (მარცხნიდან მარჯვნივ): ბარიუმის საამქროს უფროსი პ. კაკაძე, მელუმელეთა ოსტატი ი. ქობულოვი, ზეინკალთა ბრიგადირი პ. ბარამიძე, მეაპარატე დ. ჩარკვიანი, ქარხნის დირექტორი გ. ძმისაძარიშვილი, მელუმელე პ. კურპანი, შემდუღებელი ბ. ღუმელე მუშა ნ. ყვანია და სარემონტო-სამშენებლო საამქროს უფროსი ბ. ასათიანი.

ფოტო ს. კილაძისა.



ჩვენი დედაქალაქი

შ. ბუხრაშვილი,

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ათას ხუთასი წლისაა ჩვენი თბილისი. მაგრამ ქალაქი კი არ დაბერდა. პირიქით, ისტორიულად მოკლე დროში გაახალგაზრდავდა. ახლა რომელი მხრიდანაც უნდა შეხედეთ რესპუბლიკის დედაქალაქსა, თქვენს ყურადღებას ეუცალებლად მიიქცევს ახალ საამქროებით მოდენილბეზე აღმართული კოშკური ამქვეყნა, სხვადასხვა სტადიაში მყოფი მშენებლობები და საცხოვრებელი სახლები, ახალი პროსპექტები და ავენიუები. ყველგან, თბილისის ყველა რაიონსა და უბანში, ძალთმაქელ ნარიყალასა თუ ორთაჭალაში, დიღომში თუ საბურთალოზე, იგრძნობა ჩვენი ქალაქის განახლებისა და წინსვლის მძლავრი ნაბიჯები. ყოველწლიურად ფართოვდება, იზრდება და ლამაზდება თბილისი. დაიკვირდით ამ ციფრებს: **თუ 1921 წელს თბილისს 2.770 მეტრი ეკავა, 1965 წლისთვის ქალაქის ტერიტორიამ 26.070 მეტრს გადააჭარბა, ე. ი. თითქმის ათჯერ გაიზარდა.**

საბჭოთა პერიოდში თბილისს შეემატა ბევრი ახალი მონუმენტური შენობა, ენციკლოპედიური საინჟინრო ნაგებობა, სამრეწველო და კომუნალური საწარმო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სავაჭრო, სამედიცინო და კულტურული დაწესებულება. თბილისმა თანამედროვეს დიდი ინდუსტრიული და კულტურული ქალაქის ერი მიიღო. აქ დამზადებული პროდუქცია დიდებულია გასცილდა რესპუბლიკისა და ჩვენი დიდი ქვეყნის ფარგლებს ახლა **საზღვარგარეთის 52 ქვეყანაში კარგად არის ცნობილი თბილისური მარკის 60 დასახელების სამრეწველო ნაწარმი.**

მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქის სანაპირო ფონდი. თუ **1926 წელს ქალაქის მთელი საცხოვრებელი ფართობი 2.869 ათას კვადრატულ მეტრს უდრიდა, 1966 წლისათვის 5.400 ათას კვადრატულ მეტრს მიაღწია,** ხოლო მარტო ვეიდწლეულში სანაპირო ფონდის ნაპატმა, ოპერაციული ბინათმშენებლობის ჩათვლით, **1 მილიონ 250 ათასი კვადრატული მეტრი შეადგინა.**

თბილისი სწრაფად იზრდება, ჩქეფს მისი შემოქმედებითი შრომა, იგრძნობა დიდი ინდუსტრიული ქალაქის მაჯისცემა. თუ 1897 წლის აღწერის მიხედვით **აღრიცხული იყო 160 ათასი მცხოვრები, ახლა დედაქალაქის მოსახლეობა ერთ მილიონს დაუახლოვდა.** მოსახლეობის ასეთმა ინტენსიურმა ზრდამ, თბილისის თავისებურმა, რთულმა რელიეფმა, საქალაქო უბნების გადაჭიმვამ ათობით კილომეტრზე გამოიწვია მიწისზედა საქალაქო ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის საგრძნობი შეფერხება, მაგისტრალების გადატვირთვა ტრამვაის ვაგონებით, ავტობუსებით, ტროლეიბუსებით, ავტომანქანებისა და მგზავრთა განუწყვეტელი ნაკადით.

ცხოვრებამ დედაქალაქის მშრომელები ახალი დიდი და რთული სამუშაოების წინაშე დაიყენა. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მიწისზედა ტრანსპორტი ვეღარ დააკმაყოფილებდა თბილისის გაზრდილ მოთხოვნილებას. ამიტომ დღის წესრიგში დადგა მიწისქვეშა ტრანსპორტის შექმნა. ხალხმა ქალაქის ეს სიკეთე პირად სიკეთედ მიიღო. თბილისის მკვლევმოუღლელი მშენებლები საუკუნეობით ხელუხლებელ მიწის გულს შეეჭიდნენ. ქალმით აუწერელ სიძნელეებს შეეჯიბრნენ მშენებლები, მაგრამ მათ ძალიან ყველაფერი, ხალხს ნატვრა შეუსრულეს, თბილისს უკვე აქვს ყველაზე პროგრესული და სამყოფო საქალაქო ტრანსპორტი — **მეტროპოლიტენი.**

დღეს მზისა და ვარდების ქალაქ თბილისის გულში ელვასავით დასრიალებენ ცისფერი მატარებლები. ამ მოვლენით გამოწვეული სიხარული არასოდეს არ ჩაქრება თბილისელთა გულში. მეტრომშენებლები ქალაქის მომავალ სიკეთეზე ფიქრობენ, ახალი დიდი სამუშაოების შესრულებას გვპირდებიან.

ბევრ თბილისელს ახსოვს ბაჯაყების ბუდე, სანაგვეები — მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპირო. აქ ადამიანს გაკვლა უჭირდა, აუწერელი სიბინძურე სუფევდა. ყველაფერი ეს ისტორიას ჩაბარდა. გაშენდა ბიეიანი, გაკეთდა კეთილშეწყობილი მაგისტრალური ქუჩები. ახლა ამ სანაპიროს სიმშვენიერით გამკლელი იხიბლება, ქვებით ისესვენებს იმ მშენებელთა მარჯვენას, ვისი შრომითაც ეს ავადმოსაგონარი ადგილები წალეკილად აქცია ხალხის სამსახურში ჩადგა. შარშან წლის დამლევისათვის უკვე დამთავრდა მტკვრის მარცხენა სანაპიროს მშენებლობა დიღმის ხიდამდე, რითაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა თბილისის უდიდესი მაგისტრალური ქუჩა მეტეხისა და დიდუბის ხიდებს შუა.

ვის არ ახსოვს ძველი მუხრანის ხიდი და მის ირგვლივ მდებარე ქუჩები. ეს ადგილი იმდენად ულამაზო, ჭუჭყიანი იყო, რომ კაცის თვალი აქ კარგს ვერაფერს დაინახავდა. თბილისელმა მკლავმოუღლელმა მშენებლებმა აქაც შეუტიეს, ძველი ქოხმახები და ხიდი აიღეს. დიდი ოქტომბრის რევოლუციის 48-ე წლისთავისთვის დედაქალაქის მშრომელებს საჩუქრად გადაეცათ მეტად რთული და უნიკალური საინჟინრო ნაგებობა — ბარათაშვილის სახელობის ორსართულიანი ხიდი. ახლა ეს უბანი თბილისის ერთ-ერთი ლამაზი ადგილია.

კახეთიდან დედაქალაქში რომ შემოდიხართ, თქვენს ყურადღებას იპყრობს რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმული მრავალსართულიანი სახლები. აქ ახლა ერთი პატარა ქალაქისოდენა მოსახლეობა ცხოვრობს. რამდენიმე წლის წინათ კი ამ ადგილას ტრიალი მინდორი იყო, სადაც ქარი თავისუფლად დანავარდობდა. ვინ იფიქრებდა, რომ მოკლე დროში ეს სრულიად დაუსახლებელი ადგილი ქალაქის ერთ-ერთ დიდ უბნად გადაიქცევდა. და განა მარტო ეს! თბილისელებს რომ შენც ამ დიდი საქმეების მონაწილეხარ, შეუძლებელია სიამაყე და სიხარული არ იგრძნო იმის გამო, რომ იმ დიდ ჯილდოში რომელიც შენმა რესპუბლიკამ მოიპოვა, შენი წვლილიც ურევია.

ვინ არ იცნობს სახელგანთქმულ მეჩაიეს თამარ უუფუნიას. 25 წელიწადია, რაც ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში იგი ბრიგადირად მუშაობს. ორგზის სოციალისტური შრომის გმირია თამარი, ოთხი ლენინის ორდენის კავალერი, და იცით რა თქვა მან? ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ლენინის ეს დიდი ორდენია (დიდიო, სწორედ ასე თქვა მან), საქართველოს მეორედ რომ მიენიჭოთ. სოციალისტური შრომის გმირის წოდება და ეს ორდენები მე პირადი ღვაწლისათვის მივიღე. ამ დიდ ორდენში კი მთელი ჩემი ხალხის ღვაწლია ჩაქსოვილი. ახლა პლანტაციაში რომ ვარ ჩემი ბრიგადის წევრებთან ერთად, ვგრძნობ, რომ ჩემს გვერდით მილიონები არიანო... ერთი პირი და ერთი მიზანი გვაქვს და საქმეს არ ვუდალატებთო.

მზესავით გამობრწყინდეს მეორე ლენინის ორდენი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მკერდზე. მთავრობის ეს ბადალი ჯილდო მილიონთა გულისცემერას ერთიანებს. რა შეეძლო ამ მძლავრ გულისცემერას!

სკკპ დელეგაციის ეფინეთში

ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 30 ოქტომბერს ფინეთში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორსაფეხა ოფიციალური ბანკეტი. შენობათა კომპლექსში 100 საწოლიანი სასტუმრო, 100 ადგილიანი სასადილო-საბანაო, ომიმდინარეობს სახელმწიფო მაღაზიის შენახვერი ვაჭრობისათვის, გარაჟი 200 ავტომანქანისათვის, მძლავრი სამაცივრო და სასაწყობო მეურნეობა, სადაც ყველა საშუშაო მექანიზებული იქნება.

ქალაქში გაიხსნება საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ათობით ახალი მაღაზია და საწარმო. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის სავაჭრო ომბოსახურების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

ქალაქის გალამაზებისა და შემდგომი გამშვენიერებისა თავის ბევრი რამ არის გათვალისწინებული ხუთწლედში. მიმდინარე წელს ამუშავდა და ახალი საბაგირო გზა. იგი ვაკის პარკს აკავშირებს კუს ტბასთან, მთელ მანძილს მგზავრი 3 წუთში ფარავს. საბაგირო გზას შეუძლია დღეში 4000 მგზავრი გადაიყვანოს. დაიწყება კიდევ ერთი საბაგირო გზის მშენებლობა. იგი ვაკეა-ფშაველას პროსპექტს დაეკავშირებს ლისის ტბასთან, რაც გაადვილებს მშრომელთა მიმოსვლას კულტურისა და დასვენების ამ შესანიშნავ პარკში.

შესრულდება თბილისის ზღვისა და კუს ტბის ტერიტორიების შემდგომი კეთილმოწყობის სამუშაოები. ვაკის პარკის ფერდობებზე ბუნებრივი პირობების გამოყენებით შეიქმნება მეტად საინტერესო და წარმტაცი ნაგებობა — კასკადი (შადრევნებისა და ჩანჩქერების კომპლექსი), რომელიც უფრო მიმზიდველს გახდის მას.

ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე გაკოსა და საბურთალოს შემაერთებელ გზასთან ახლოშდებარე სკკკ-ში დაიწყო კულტურის სახლის მშენებლობა, რომლის საპატიოულიან შენობაში მოთავსებული იქნება 1.200 ადგილიანი თეატრი, 400 ადგილიანი ფართოეკრანიანი კინოთეატრი, საცეკვაო დარბაზი და სხვ. გრძელდება მშენებლობა და თბილისელები უახლეს პერიოდში მიიღებენ კინოსაკონცერტო დარბაზს 2.500 მაყურებლისათვის ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების შეესაყარში.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს თბილისის მშრომელთა წყლით შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველყოფისათვის, ცენტრალური გათბობისათვის. დღისათვის ცენტრალურ გათბობაზე მიერთებულია 1.245 სახლი.

და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ აქეთდება და გაკეთდება მომავალში.

საბჭოთა ადამიანო! ყველაფერი ეს შენს სიკეთეს, შენს ბედნიერებას ემსახურება. შენია ეს ახალი სახლი და ქუჩა, შენია ეს პარკი, ეს მეტროპოლიტენი თუ საბაგირო გზა... შენი ქალაქის ყველა სიკეთე შენი სიკეთეა.

ეს ანიჭებს შენს საქმეებს აზრს და მიზანს, ეს გამატებს ძალასა და ენერგიას წინსვლისა და წარმატებათა გზაზე.

ზეიმოგს ყირგიზეთი

ფრუნზე, 30 ოქტომბერი. (საკუთარი კორ.). მხურვალედ ეგებება ყირგიზეთი მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებს, რომლებიც ჩამოვიდნენ ყირგიზეთის სსრ და ყირგიზეთის კომპარტიის 40 წლისთავის საღღესასწაულოდ.

დღეს რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, მოლდავეთის, ესტონეთის, ლატვიის დელეგაციები ესტუმრნენ კანტს, კალინინს, მოსკოვის, სოკოლუკისა და ტიან-შანის კალთებზე მდებარე სხვა რაიონების მეურნეობებს. ისინი გაეცნენ კოლმეურნეთა ცხოვრებას, გამოიკითხეს, თუ როგორია შრომის ორგანიზაცია და მექანიზაცია, როგორ ზრდიან მეცხოველეობის პროდუქტიულობას, რწყავენ მინდვრებს.

ყირგიზეთის მანქანათმაცდელ სადგურს ეწვივნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი, ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. უსუბალიევი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ტ. კულატოვი და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვ

სვეტბედნიერი დღეები

ბევრ საუკუნის მანძილზე ქართველ ხალხს ზშირად როდი ღირსებია ბედნიერი დღეები, როგორიც ანდაცადეთ ამა წლის სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში. წარსულში თავდადებები, ჭირი და მიწისძვრები არ აკლდა ამ ხალხს, ჩვენი ერის საუკეთესო სისხლი დაენთხა მრავალსაუკუნოვან ბრძოლებში. აღმოსავლეთის ბარბაროსების ოხტიტეგან დალეწა ჩვენი არქიტექტურის უბრწყინვალესი ძეგლები, შემუსრა ეფეთა და ერისთავთა სასახლეები, დახვა და გაანადგურა ქართული ისტორიის ართული მწერლობის ძეგლები.

XV-XVIII საუკუნეთა მანძილზე მრავალი ასეული ათასი ქართველი ახალგაზრა გაყიდეს სტამბოლის, თეირანის, ისპანის მონათა ბაზრებზე. სისხლისაგან აცლილ ქართველ ხალხს თვალებიდა ბუტოვეს სატირლად.

შვა-ბაზმა აყარა მთელი ქახეთი და რავალი ათასი ქართული ოჯახი დღესაც ერეიდანშია სიბნელესა და ბუჰეში ჩალული. არც XIX საუკუნეში გაუხარია ქართველ ხალხს. რომანოვების მონარქიის რუსიფიკატორული პოლიტიკა ეგველად მოსპობდა ქართულ ენას, ოდი ოქტომბრის რევოლუციას რომ არ ოეხწრო.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ართველმა მშრომელმა ხალხმა დიდზე ოდ წარმატებას მიაღწია. ლენინური ოვნული პოლიტიკის შემწეობით აღორძინების გზას დაადგა ჩვენი მეცნიერება, ენი მწერლობა. დიდი მასშტაბის ინდუსტრია განვითარდა. ქართული ფოლადი, ართული ჩაი, ქართული ღვინო მთელ ოფლიოში სახელგანოქმული გახდა. ს მარტო ქართველი მწერლების, მეცნერებისა და მხატვრების ქმნილებები ოიდო მთელ მსოფლიოს.

თუ აკამდის ქართული წიგნი კავკასიონის უღელტეხილს ვერ გადასცდებოდა, დღეს ჩვენ ვესაუბრებით მთელ მსოფლიოს, ოთხ ოკეანეთა შორის მდებარეს.

სტაბილური გახდა ქართული კულტურის რეპუტაცია. აყვავდა ქართული სოფლის მეურნეობა, ტექნიკა შეეშველა კოლმეურნეთა მარჯვენას. ჩვენი ბესები, ჩვენი ქარხნები, ჩვენი ტრანსპორტი ველის და ეხმარება ჩვენი მატერიალური კულტურის აღორძინების დიდ საქმეს.

თუ ოქტომბრის რევოლუციამდე ქართველი გლეხი კავით ჩორკნიდა მიწას, დღეს ძალოვანი ტრაქტორები გუგუნებენ ჩვენს მინდორ-ველებზე.

მოისპო უწიგნურობა, შრომის ახალოგიას ეწევა ქართული მწერლობა, უსასტიკესი ბრძოლა გამოვუცხადეთ მცონარობასა და ლოთობას. ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა, დიდი გოეთეს თქმისა არ იყოს, „მხოლოდ იგია ღირსი თავისუფლებისა, ვინც ყოველდღიური ბრძოლით მოახერხებს მის შენარჩუნებას". კულტურა, ცივილიზაცია უსასტიკესი შეჯიბრის ფორვატერშია მუდამ, ამ შეჯიბრში მხოლოდ მამაცი და მშრომელი გაიმარჯვებს.

რაოდენ სასიხარულო და საამაყოა, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდად დაფასებულია ადამიანი და შრომა, შრომა შემქმნელი სახალხო სიკეთისა და დოვლათისა.

რაოდენ სასიხარულო და საამაყოა, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტი პატივისცემის ღირსია იგი, ვინც ყოველ წუთს მზად არის თავისი სიცოცხლე ანაცვალოს დაკისრებულ მოვალეობას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას.

კონსტანტინე გამსახურდია,

მწერალი-აკადემიკოსი.

◆

მე სიამოვნებით დავდიავარ დიდ მშენებლობებზე, ფრიად მსიამოვნებს სტუმრობა მშენებლებთან, მუშებთან, გლეხებთან, რომლებიც ქმნიან ახალ ყოფას. გამომშვიდობებისას კი ყოველთვის ვეუბნები ხოლმე მათ:

— აგრე გმართებთ, ძმებო. ჩვენ ახალ დიად საქართველოს ვქმნით, ჩვენი შესანიშნავი ხალხისა და მისი დიდი ისტორიის ღირსეული მემკვიდრენი ვართ ყოველ უბანზე, სადაც ჩვენი პარტია და ხელისუფლება დაგვაყენებს, თავი უნდა დავდოთ ჩვენი მოვალეობის შესასრულებლად.

— თქვენს ექსკავატორებს ხშირად ამოაქვთ მიწიდან ადამიანთა ძვლები. უმეტესი მათ შორის ჩვენი მამაცი წინაპრების ძვლებია. იმათი ძვლებია, ორი ათასი წლის მანძილზე შეუპოვრად რომ ებრძოდნენ ჰუნებს, ირანელებს, ბიზანტიელებს, თურქებს, რათა ეს მშვენიერი ბესპერიდების ბაღნარი შემოენახათ ჩვენთვის. ასე რომ, მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორია შემოგვაკერინა მიწის წიაღიდან. ამიტომაც გვმართებს მარტოოდენ გულამაყნი როდი ვიყვნენ, არამედ გულმამაცნიც როგორც შრომაში, ისე ბრძოლაში.

ყველას კარგად უნდა ახსოვდეს: მუშასა თუ მწერალს, კოლმეურნესა თუ მხატვარს, მეცნიერსა თუ მუსიკოსს, რომ სადაც დიდი, უანგარო პატრიოტიზმი და კეთილშობილური გრძნობა არ არის, იქ ყოველივე ტალანტი, გარჯა და მეცადინეობა უქმია;

ყველამ კარგად უნდა იცოდეს: ჩვენი ხალხი დღეს ისე დაბრძენდა, რომ არავის არ შეიყვარებს, ვინც ამ სიყვარულის ღირსი არ არის. საერთოდ კი არავის არ მოუხვეჭია სიყვარული და პატივისცემა თავისი ერისა, ვისაც გულში არა სდგია უანგარო სიყვარული მშრომელი ხალხისადმი.

ჩვენ ბედშარიტად სვეტბედნიერი დღეების მოწმენი ვართ. ამის დასტურია ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ყოფა, ამის დასტურია მეორე ლენინის ორდენი, რომელიც მკერდს უმშვენებს საქართველოს და მის გმირ მშრომელებს, ამის დასტურია დიდი შოთა რუსთაველის იუბილეც.

დიახ, ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ რუსთაველის უკვდავი პოემა გადაურჩა ოამთა სიავეს, რომ იგი უნათებდა და უნათებს გზას ქართველ ხალხს, არა მარტო ქართველ ხალხს, კეთილი ნების ყველა ადამიანს.

რუსთაველის იუბილე დაემთხვა საბჭოთაშორისო რეაქციის შავბნელ დღეებს, როცა ამერიკელი იმპერიალისტები ტანკებითა და ავიაციით ანადგურებენ ვიეტნამის სოფლებსა და ქალაქებს, როცა ჩინური „კულტურ-რევოლუციის" ბნელის მჩამხველები მუსრავენ ძველი ჩინური კულტურის დიდებულ ძეგლებს.

ჩვენს თვალწინ მკვდრეთით აღმდგარ რუსთაველს დიდი პატივი დასდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ. 25 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის მთავრობის ხელშეწყობით ძეგლი დაუდგეს შოთა რუსთაველს მოსკოვში, სწორედ იმ პროსპექტზე, სადაც სული დალიეს ჩვენმა სვეგამწარებულმა ემიგრანტებმა მეთვრამეტე საუკუნეში.

ჩვენთვის, მთელი ქართველი ხალხისათვის მუდამ სასიხარულო დარჩება, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ბრეჟნევმა ლენტი გადაჭრა, რუსთაველის ძეგლის ირგვლივ შემოგრაგნილი. ფრიად სასიამოვნოა ქართველი ხალხისათვის, რომ იგი დღეს ჩვენი ძვირფასი სტუმარია.

ბედშარიტად სვეტბედნიერ დღეებს განიცდის ჩვენი ხალხი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცნიერთა და ინჟინერ-მექანიკოსთა დაუღალავი შრომის ნაყოფია ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველო", რომელიც მძიმე ფიზიკური შრომისაგან ათავისუფლებს მეჩაიეებს.

სურათზე: ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ცოდნის ტაძარი

ილია ვეკუა,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი.

◆

საკმაოდ დიდი ხანი ოცნებობდა ქართველი ხალხი მისი მოწინავე ინტელიგენცია ეროვნული უნივერსიტეტის შექმნაზე. ქართველი ხალხის ღირსეული წარმომადგენლები მეფის თვითმპყრობელობის პირობებში აფარმოებდნენ ძმაგრამ შეუპოვარ ბრძოლას ქართული უნივერსიტეტის შექმნისათვის. ოველ ხალხში უნივერსიტეტის შექმნის ოობა რწმეულ თავიდანვე ღრმად ოდა ფესვები გადგმული და უნივერტეტის გახსნამდე ამ მიზნით დიდი მუობა წარმოებდა. ამ მხრივ დამახასიათებელია ქართული უნივერსიტეტისათის შენობის აგება, რომელიც ქართული ეტერის დიდი პატრიოტის იაკო ცავეაძის თაოსნობით იქნა გახორციელებუ. მართალია, დღეგანდელი უნიკოსიტეტის მთავარ კორპუსში სათავადაზნაუ ო გიმназია იყო წარმოდგენილი. მაგრამ დღეს ეკვე სათანადო წყაროებით დადასტურეულია, რომ თავისი არქიტექტურით დღეც მომხიბლავ შენობას, „ისი მშვენებობა ინიციატორები თავიდანვე ქართული უნივერსიტეტისათვის ამეებდნენ. ეფის თვითმპყრობელობის ბატონობს პერიოდში ქართველი ხალხის ცდა ოგანიზაციის ხელმძღვანელობენ ბესიერ-ფალოლოგიერ, ისტორიულ-ფილოლოგიურ და იურიდიულ-ეკონომიურ დარგებში, მიუხედავად იმისა, რომ თავისი არსებობის პირველ წლებში თბილისს უნივერსიტეტს მეტად ნაკლებ მატერიალურ პირობებში უხდებოდა მუშაობა.

ბოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ შეიქმნა თბილისს უნივერსიტეტში მეცნიერების ოველ ფაკულტეტებზე ინსტიტუტები, ერთნაი ეროვნული ენა, ლიტერატურა, ისტორია, ენა, ეკონომიკა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია,

ვაზის ჭირიმე, ვაზისა!

საქართველოს მევენახეებმა უკანასკნელ ორ წელიწადს დიდ წარმატებას მიაღწიეს. ყურძნის დამზადების გეგმა შარშან და მიმდინარე წელს გადაჭარბებით შეასრულეს. ყურძნის წარმოებისა და დამზადების საქმეში საპატიო წვლილი შეიტანეს გურჯაანის რაიონის მევენახეებმა. ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მევენახეები არა მარტო რაიონში, არამედ რესპუბლიკაში პირველობენ. შარშან და წელს მათ დიდი რაოდენობით მიჰყიდეს ყურძენი სახელმწიფოს. სურათზე: რთველი ველისციხის კოლმეურნეობის ზვრებში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამბები — ცნობები

ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

თბილისში გაიხსნა შვეიცის „ელემა-შონანდერის“ ფირმის ელექტრონულ-ფიზიოლოგიური მოწყობილობის გამოფენა. გამოფენა ეწყობა ცენტრალური ნერვული სისტემის ელექტროფიზიოლოგიის საკითხებზე სრულიად საკავშირო კონფერენციასთან დაკავშირებით, რომელიც ამ დღეებში საქართველოს დედაქალაქში მიმდინარეობდა.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ლ. საყვარელიძე, საბჭოთა კავშირისა და მეოცე რიგი სოციალისტური ქვეყნების სამეცნიერო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, კონფერენციის მონაწილენი.

გამოფენა გახსნა გამოჩენილმა მეცნიერმა აკადემიკოსმა ი. ბერიტაშვილმა.

საქართველოს სსრ საგანგებო პალატის დირექტორი რ. ელიგულაშვილი თავის გამოსვლაში მიესალმა შვეიცარიელ სტუმრებს და გამოთქვა იმედი, რომ გამოფენა ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

პროფესორმა გ. მეჯდლიშვილმა დამწყებთ გაუზიარა შვეიცარიის „ელემა-შონანდერის“ ფირმის საწარმოთა დათვალიერების შთაბეჭდილებანი, აღნიშნა ამ ფირმის ხელსაწყოებისა და სამეცნიერო მოწყობილობის მაღალი სიზუსტე და საიმედოობა.

შვეიცის ფირმის წარმომადგენელმა ედ. ჟულერმა თქვა: მიხარია, რომ საქართველოში ჩემი ფირმის ელექტრონულ-ფიზიოლოგიური მოწყობილობის გამოფენის წარმომადგენელი ვარო.

გამოფენაზე წარმოდგენილია სამეცნიეროსაკვლევ სამუშაოთა და კლინიკის სხვადასხვა ტიპის მოწყობილობა, უპირატესად ელექტროენცეფალოგრაფები. ისინი სპეციალისტებს საშუალებას აძლევენ მიიღონ ცნობები ტვინის მუშაობის ელექტრონული და ელექტროქიმიური მაჩვენებლების შესახებ.

გამოფენა, რომელიც მოწყობილია მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის პროპაგანდის ინსტიტუტში, ერთ კვირას გასტანს.

(საქდესი).

სურათზე: აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი (ცენტრში) თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს შვეიცარიის „ელემა-შონანდერის“ წარმომადგენლებსა და გამოფენის სტუმრებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲣᲚᲘ ᲦᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲘᲠᲐᲚᲔᲑᲘ

ბაკო, (საკდესი). 29 ოქტომბერს ქართველ მეგობრებს გადაეცა 26 ბაკოელი კომისრის საფლავის მარადიული დიდების ცეცხლით ანთებული ჩირაღდანი, რომელიც ამოგზაურებს ჩვენი ქვეყნის ყველა მომე რესპუბლიკაში და მომავალ წელს — გამარჯვების დღეს — 9 მაისს — ჩავა ლენინგრადში.

ჩირაღდნის გადაცემის საზეიმო ცერემონია გაიმართა ბაკოს ახალგაზრდობის მრავალათასიან მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ლენინური კომკავშირის დაბადების დღეს და საბჭოთა არმიის რიგებში ახალწვეულთა გაცილებას. მიტინგს დაესწრნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ახუნდოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ე. ნ. ალიხანოვი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ა. ისკენდეროვი, რევოლუციური მოძრაობისა და დიდი სამამულო ომის veteranთა დიდი ჯგუფი.

ახალგაზრდებს გულთბილი მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს აზერბაიჯანის რევოლუციური დიდების საბჭოს თავმჯდომარე მუსეიბ ალადაშევმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ასლან ეფიზოვმა.

ᲙᲝᲤᲔᲘᲜᲘ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲝᲓ

ბათუმი. (საა. კორ.). ბათუმის კოფეინის ქარხანა ერთადერთია ევროპაში. ამიტომ მის პროდუქციაზე მუდამ დიდი მოთხოვნილებაა.

ამას წინათ ნატურალური კოფეინი დიდი რაოდენობით გაიგზავნა არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში, წლეს ბოლომდე კიდევ ორი ათასი კილოგრამი კოფეინი გაიგზავნება.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲚᲔᲑᲘ

ᲒᲐᲡᲣᲚ კვირას და გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები ფეხბურთში.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ „ზენიტის“ და ალმა-ატის „კაირატის“ მატჩი მიმდინარეობდა თოვლში. ანგარიშიც მასპინძლებმა გახსნეს, მაგრამ ალმა-ათელებმა ორი გოლით უპასუხეს და გაიმარჯვეს 2:1. გადამწყვეტი ბურთი „ზენიტის“ კარში გაიტანა მწველმა სტეპანოვმა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ტრიბუნები თითქმის ცარიელი იყო. აქ ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „სპარტაკი“ და მინსკის „დინამო“. მეტოქეების ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

„ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘᲡᲐ“ და ბაქოს „ნეფტიანიკის“ მატჩი დონეცკში კოსმოსურულ წვიმაში მიმდინარეობდა. ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელმა — „ნეფტიანიკმა“ დამარცხება განიცადა 0:1.

ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ არმიელ ფეხბურთელებს კიევიდან „კრილია სოვეტოვი“ ეწვია. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 2:0.

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები — არმის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივები. მატჩის შედეგია 2:1 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

გამოვლინდა ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონი. ეს ტიტული პირველობის დამთავრებამდე ექვსი ტურით ადრე გაინაღდა კიევის „დინამოსა“.

ᲐᲘ ᲘᲡᲘᲜᲘ — ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ სამბოლო XX საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი დღე იყო. დილადგანვე თბილისის სახელმწიფო ცირკში მიმდინარეობდა ბრძოლა ფინალში გასვლისათვის. ამ შეხვედრებში მოულოდნელობასაც ჰქონდა ადგილი — ა. კიკნაძემ (მძიმე წონა) ტრავმა მიიღო ა. მალაციძესთან პაექრობაში, გამოეთიშა ბრძოლის შემდგომ ეტაპს და იძულებული გახდა მესამე საპრიზო ადგილით დაკმაყოფილებულიყო.

ცხადია, ყველაზე საინტერესო იყო ფინალები, სადაც წყდებოდა ოქროს მედლების საკითხი.

უმჩატეს წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ჭიდაობის ვეტერანი ლ. კაციაშვილი (ცხინვალი, „კოლმეურნე“) და ლვოვის „დინამოს“ წარმომადგენელი რ. აპოკოვი. მეტოქის აგრესიულ ბრძოლას ლ. კაციაშვილმა შემოქმედებითი, ტექნიკური ჭიდაობა დაუპირისპირა, რამაც მას სასურველი შედეგი მოუტანა. ლ. კაციაშვილი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კიევის დინამოელმა ა. ᲧᲐᲜᲓᲘᲔᲠᲝᲕᲐ (მრავე წონა) სძლია მეტოქეს — ნ. კოზიცკის (კიევი, სსკ) და ოქროს მედალი მოიპოვა. ორი უძლიერესი ხპორტსმენი შეხვდა ერთმანეთს ქვემსუბუქ წონაში. ესენი იყვნენ ა. ᲘᲚᲘᲣᲨᲘᲜᲘ (ცსკა) და Მ. ᲡᲢᲔᲞᲐᲜᲝᲕᲘ (ცსკა). თანაბარუფლიანი ამ პაექრობამ პირველობა Მ. ᲡᲢᲔᲞᲐᲜᲝᲕᲘᲡ მოუტანა. მსუბუქ წონაში სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონმა ᲓᲐ. ᲠᲣᲓᲔᲜᲚᲐ (ეუბიშევი, „დინამო“) ეს ტიტული წელსაც შეინარჩუნა. მან მტკვნეულად ილეთით ძლია Მ. ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (მინსკი, სსკ). ქვესაშუალო წონის სამბისტთა შორის ფინალში დავა ჰქონდათ კიევისა და სვერდლოვსკის დინამოელებს — Ა. ᲨᲩᲣᲚᲘᲜᲘᲡᲐ და Ა. ᲡᲢᲝᲚᲑᲝᲕᲘᲡ. პირველმა ტრავმა მიიღო. გამარჯვება Ა. ᲡᲢᲝᲚᲑᲝᲕᲘᲡ მიეკუთვნა.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს გ. ᲒᲐᲒᲘᲚᲐᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ (თბილისი, „დინამო“) ნახევარფინალში და ფინალში მეტად მძიმე ბრძოლა ჰქონდა. ფინალში მისი მეტოქე იყო ს. ᲙᲐᲡᲝᲔᲕᲘ (ორჯონიკიძე, „დინამო“). ამ უკანასკნელმა გაფრთხილება მიიღო. ჩემპიონი გახდა გ. ᲒᲐᲒᲘᲚᲐᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ქვემძიმე წონაში ოქროს მედლების საკითხი სასწორმა გადაწყვიტა. Ა. ᲘᲣᲓᲘᲜᲘᲡᲐ (ცსკა) და Გ. ᲛᲘᲨᲘᲜᲙᲝᲕᲘᲡ (ცსკა) ბრძოლა ფრედ დამთავრდა. აწონვის შემდეგ გ. მიშინკოვი მეტოქეზე მსუბუქი აღმოჩნდა და პირველობაც მას მიეკუთვნეს.

მძიმე წონაში სპორტის დამსახურებული ოსტატის Ა. ᲥᲘᲑᲠᲝᲛᲬᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ (გორი, „ბურევესტნიკი“) წინააღმდეგ იბრძოდა Ი. ᲐᲜᲓᲠᲔᲩᲘᲙᲘᲗᲘ (ლენინგრადი, „დინამო“). აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი 18 კილოგრამით მეტი იყო მეტოქეზე. Ა. ᲥᲘᲑᲠᲝᲛᲬᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ აჩვენა ჩინებული ბრძოლა და წმინდა ფენალი მოიპოვა 4 წუთსა და 55 წამში. სამბოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ᲠᲝᲑᲔᲠ ᲙᲣᲚᲘᲜᲔᲚᲐ (სოფრანგეთი) პირადად დაჯილდოვა Ა. ᲥᲘᲑᲠᲝᲛᲬᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ.

დასასრულ მოეწყო დაწესებული პრიზების გადაცემა. გაზეთ „კომუნისტის“ პრიზი ყველაზე სწრაფი გამარჯვებისათვის გადაეცა Ა. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔᲡ.

ᲤᲐᲠᲥᲐᲨᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲝᲚᲘ

ფეხბურთის მოყვარულება კვირას დიდ ფეხბურთის მოწმენი იყვნენ. ისინი ტელევიზორებით თვალს ადევნებდნენ სეზონის ერთ-ერთ ხაინტერესო მატჩს ბუდაპეშტსა უნგრეთისა და ავსტრიის ნაკრებ გუნდებს შორის.

მასპინძლები აქტიურად მოქმედებდნენ. განსაკუთრებით ეფექტური იყო თავდამსხმელთა თამაში, სადაც აქტიურად მოქმედებდა შარკაში (№ 10). სწორედ ის გახდა სამი გოლის ავტორი. თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ავსტრიელმა მოლნარმ (№ 8) გაიტანა ერთი საპასუხო ბურთი.

უნგრელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

ᲓᲐᲣᲛᲐᲠᲪᲮᲔᲒᲚᲐᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის პირველი ჩემპიონატი რეგბში, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს, დასასრულს უახლოვდება.

გასული კვირადღის შეხვედრებიდან ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა მატჩი რუსთაველი მოსკოველის ბასელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის. წარმატება მოსკოველებს ხვდათ ანგარიშით 5:3. ისინი დაუმარცხებლად იბრძვიან.

დანარჩენი ორი შეხვედრა შედგა თბილისში. მოსკოველ დინამოელებმა დამარცხეს კიევის „სპარტაკი 16:8, თბილისელ ლოკომოტიველებმა — ლენინგრადის „სპარტაკი“ 13:11.

„ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ“

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ და იტალიის ნაკრებთა დღევანდელი შეხვედრა მილანის „სანსიროს“ სტადიონზე ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში და მას ლონდონის ტურნირის შემდეგ ნომერ პირველ ასპარეზობად თვლიან. იტალიაში ნამდვილი საფეხბურთო ციებ-ცხელებაა. ადგილობრივ ჟურნალისტებსა და სპეციალისტებს ეს შეხვედრა „პრესტიჟის მატჩად“ მიიჩნევთ. „ტიფოზები“ კი ჯიუტად ამტკიცებენ თავიანთი გუნდის უძლეველობას და გამარჯვებასაც. მას უფრასწარმეტყველებენ.

მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიელ ფეხბურთელთა, ანუ „სკუადრა აძურას“ წარმატებლობამ, პირველ რიგში კი საბჭოთა ნაკრებთან დამარცხებამ, ამ გუნდის თაყვანისმცემელთა რწმენა შეარყია. ამიტომ, ახლა, თუმცა ამხანაგურ მატჩში, მათ რეანში სწყურიათ და დაკარგული პრესტიჟის აღდგენა სურთ.

პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალმა მწვრთნელმა ᲕᲐᲚᲙᲐᲠᲘᲜᲘ შეძლო შეექმნა მეტად ძლიერი, „მონოლითური კოლექტივი“, რომელსაც წარმატებით შეუძლია ითამაშოს მსოფლიოს რომელიც გნებავთ გუნდთან.

როგორც რადიოკომენტატორი Ნ. ᲝᲖᲔᲠᲝᲕᲘ იუწყება, მილანი საბჭოთა ფეხბურთელებს წვიმიანი და ცივი ამინდით შეხვდა. საბჭოთა ნაკრებმა მოაწყო ორ კარში თამაში. მის რიგებში იყვნენ: იაშინი, ᲨᲕᲔᲜᲘᲩᲜᲘᲜᲝᲕᲘ, ᲩᲣᲠᲪᲘᲚᲐᲫᲔ, ᲐᲜᲓᲠᲔᲘᲩᲘᲙᲘ, შესტერნიოვი, დანილოვი, ᲐᲤᲝᲜᲘᲜᲘ, ᲮᲝᲡᲘᲩᲘᲜᲘ, ᲮᲐᲒᲝᲜᲘᲫᲔ, ᲩᲘᲡᲚᲔᲜᲙᲝ, სტრელცოვი, ᲑᲘᲨᲕᲘᲪᲘ, ᲛᲐᲚᲐᲤᲔᲔᲕᲘ, ᲞᲐᲠᲙᲣᲜᲘᲐᲜᲘ, ᲛᲐᲢᲕᲔᲔᲕᲘ. გუშინ ჩვენმა ფეხბურთელებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

საბჭოთა ნაკრების მწვრთნელს Ნ. ᲛᲝᲠᲝᲖᲝᲕᲡ მიანიშნა, რომ ეს იქნება მომზიდველი მატჩი. ინგლისის ტურნირისაგან განსხვავებით გუნდში რომ ექვსი ახალი მოთამაშეა, ეს შემთხვევითი როდია. სწორედ მათ დაიმსახურეს პატივი დაეცვათ ჩვენი ფეხბურთის პრესტიჟი, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ნდობას გაამართლებენ.

როგორც რეიტერის საagენტო იუწყება იტალიელებმა განსაზღვრეს თავიანთი გუნდის შემადგენლობა — ᲮᲐᲠᲗᲐ, ᲑᲣᲠᲒᲜᲘᲩᲘ, ᲤᲐᲯᲔᲢᲘ, ᲑᲘᲐᲜᲙᲘ. ᲒᲣᲐᲠᲜᲔᲠᲘ, ᲞᲘᲪᲘ, ᲓᲝᲛᲔᲜᲘᲩᲘ, ᲛᲐᲪᲝᲚᲐ, ᲓᲔ ᲞᲐᲝᲚᲝ. ᲟᲣᲚᲘᲐᲜᲘ, ᲙᲝᲠᲡᲘ.

მაშ ასე, დღევანდელ დიდ ფეხბურთამდე, საკავშირო რადიო და ტელევიზია აწყობს ამ მატჩის რეპორტაჟს 16 საათსა და 25 წუთიდან მოსკოვის დროით.

„ᲛᲔᲣᲐᲜᲬᲘᲡ“ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲑᲣᲘᲑᲘᲨᲘ. (საკ. კორ.). გასულ კვირას ტყიბულის „განთიადის“ სტადიონზე გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების ზონებში გამარჯვებული „ბ“ კლასის გუნდების დასკვნითი ტურის უკანასკნელი მატჩები ფუზბურთში.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ სუმგაითის „პოლადისა“ და გროდნოს „ნემანის“ გუნდები. გაიმარჯვა „ნემანმა“ 2:1.

ამის შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ ტყიბულის „მეშახტე“ და კაფანის „ლერნაგორცი“. ტყიბულელებს ერთი ქულაც კი ხელს უწყობდათ საერთო გამარჯვების მოსაპოვებლად. ასეც მოხდა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ამრიგად, ტყიბულის „მეშახტემ“ 6-დან 4 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დიკავა. გამარჯვებულ ფეხბურთელებს მიეცემათ სპორტის ოსტატის წოდება.

სუმგაითის „პოლადმა“ და გროდნოს „ნემანმა“ სამ-სამი ქულა შეაგროვეს, კაფანის „ლერნაგორცმა“ — 2 ქულა.

ტყიბულის „მეშახტემ“ (მწვრთნელი Ა. ᲨᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ) „ბ“ კლასის მეორე ჯგუფში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

• • •

სურათზე: ტყიბულის „მეშახტის“ ფეხბურთელთა გუნდი.

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲕᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ?

ᲙᲐᲕᲐᲜᲐᲨᲘ მოჭიდრაკეთა XVII მსოფლიო ოლიმპიადაზე ჯერჯერობით ნახევარფინალური შეხვედრები მიმდინარეობს.

ოთხი ტურის მონაცემებით ყველაზე უკეთესი მდგომარეობა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მოჭიდრაკეთა გუნდებს ჰქონდათ—თითოჩეტ-თითოჩეტი ქულა. მესამე ტურში გადადებული პარტია Ლ. ᲨᲢᲔᲘᲜᲛᲐ თავის სასარგებლოდ დამთავრა. სსრ კავშირისა და გონკონგის გუნდების მატჩის საბოლოო შედეგია 4:0 საბჭოთა გროსმაისტერების სასარგებლოდ.

მეოთხე ტურში ჩვენი ნაკრები თამაშობდა თილმინების გუნდთან. ანგარიშია 2,5:0,5 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ. 1 პარტია გადაიდო. მეხუთე ტურში საბჭოთა გროსმაისტერებმა მოუგეს ურუგვაველებს 3,5:0,5 და ახლა 17,5 ქულა აქვთ.

ფიდეს კონგრესის გადაწყვეტილებით მომავალი მე-18 ოლიმპიადა მოეწყობა 1968 წლის ოქტომბერში შვეიცარიაში. მიღებულია საბჭოთა მხარის წინადადება — 1968 წელს გაიმართოს ევროპის პირველი პირადი ჩემპიონატი ჰავანაში. სსრ კავშირის წარმომადგენელს გადეცა მსოფლიოს ჩემპიონების დიპლომები ტ. პეტროსიანისა და ნ. გაფრინდაშვილისათვის გადასაცემად.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲢᲘᲠᲐᲟᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ამ დღეებში გაიმართა ქ. თბილისის მრავალტირაჟიანი გაზეთების [illegible] თანამონაწილეობა. ოთხმოცდაათ-ოთხმოცდაათ-სემინარი. ოთხმოცდაათ-ოთხმოცდაათ-სემინარი მიეძღვნა მრავალტირაჟიანი გაზეთების მუშაობის საკითხების განხილვას სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ოთხმოცდაათ-ოთხმოცდაათ-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს საუბრები თემებზე: „მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქციების ამოცანები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში“, „სოციალისტური ჟურნალისტიკა II ყრილობის შედეგები და ძირეული პრესის ამოცანები“, „პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური საკითხების გაშუქება მრავალტირაჟიან გაზეთებში“, „ნარკვევი გაზეთში“, „მუშაობა მკითხველთა აქტივთან“, „მრავალტირაჟიანი გაზეთების გაფორმება, ილუსტრირება, გამოშვების ორგანიზაცია“ და ა. შ. საუბრებში მონაწილეობდნენ გაზეთების „თბილისის“ და „ვეჩერნი თბილისის“ რედაქციების პასუხისმგებელი მუშაკები, გამოცდილი ჟურნალისტები. მრავალტირაჟიანი გაზეთების მუშაობის ცალკეული საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ ი. ბოლქვაძე (გაზეთ „ჩვენი საყვარელის“ რედაქტორი), ი. ვეშაპიძე (გაზეთ „ჩვენი უნივერსიტეტის“ რედაქტორი), მ. შელეძე (გაზეთ „მედიცინის მუშაკის“ რედაქტორი), ე. ჩიჯავაძე (გაზეთ „ჩვენი ფრთების“ რედაქტორი) და სხვები.

თოთბერ-სემინარის მონაწილეები გაეცნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბების, საქალაქო გაზეთების რედაქციების მუშაობას.

ᲩᲐ ᲕᲘᲪᲘᲡᲗ, ᲩᲐ ᲛᲝᲥᲛᲘᲡᲔᲑᲘᲡᲗ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

12.00 — საზეიმო სხდომის ტრანსლაცია თბილისის სპორტის სასახლიდან, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — საზეიმო კონცერტი, 19.00 — კონონარკვევი, 19.25 — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბიოგრაფია — „გადასახლება ციმბირში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.55 — დოკუმენტური ფილმი „რუსთაველი და მისი ეპოქა“, 20.45 — კონცერტი, 21.25 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.45 — მხატვრული ფილმი „არსენა“.

2 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

17. 55 გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ოქტომბრელოათვის — სატელევიზიო ჟურნალი „ᲬᲘᲚᲘᲚᲝ“, 18.35 — მოსწავლეთათვის — „მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.55 — განცხადებები, 19.00 — გადაცემა „ახალი ტექნიკა სოფელს“, 19.20 — კონონარკვევი, 19.50 — „ჩვენი სტუმრები (სტუდიაში — ფიზიოლოგთა საკავშირო კონფერენციის მონაწილენი), 20.10 — დოკუმენტური ფილმი, 20.50 — გადაცემა „კომპოზიტორი სულხან ცინცაძე“, 21.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.00 — მხატვრული ფილმი, 23.35 — გადაცემათა პროგრამა 3 ნოემბრისათვის, 23.40 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში — ინგლისი-ჩეხოსლოვაკია (გადმოცემა ლონდონიდან).

ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲐᲠᲮᲘᲗ — ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ. დასაწყისი დღისით 12 საათიდან, საღამოს 17 ს. 45 წ.

ᲙᲘᲜᲝ

1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ოქტომბერი—ომი და მშვიდობა (ნატაშა როსტოვა II სერია), რუსთაველის სახელობის, ამირანი, საქართველო (მწვანე, დარბაზი). გაზაფხული, ყაზბეგი (პირველი დარბაზი)—შეხვედრა წარსულთან, ზანი, „საქართველო, (წითელი დარბაზი), თბილისი, ი. შავქვაძის სახელობის კულტურის სახლი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი—ბრძოლის ფერები, კომკავშირელი—მაცი ხვიტია, კოლხიდა (საზაფხულო), ეკრანი—შესანიშნავი შვიდეული, კოლხიდა (საზამთრო), კოლმეურნე — გვიმრა და ცეცხლი, ოფიცერთა სახლი — განხეთქილების უფსკრული, თანამგზავრი — ახალი ორლეანის ნებიერა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

სანკულტურის — კიევ „პარნასი“ ხერება, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ცეხე-სოჭვრის საოდემლ (№ 22 აბრ. საკ. 6 ს.).